ბრძანება:**ბ32. 322401657**

თარიღი:**16/01/2024**

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახელების საერთო კრებების და ამომრჩეველთა კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" და ,,ე.ი" პუნქტის, 85-ე მუხლის მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ'' და ,,თ'' პუნქტის, 854 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტის, მე 13 და მე- 15 პუნქტის და საქარTველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ,, ა'' ქვეპინქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა და მერის პირველი მოადგილის რიონი დეკანოიძის 2024 წლის 16 იანვრის #32-3224016104 მოხსენებითი ბარათის **საფუძველზე**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომარჩეველების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილებას მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განსაზღვროს დანართის მიხედვით.
4.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში და ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09 - დან - 18 - საათამდე, 2024 წლის 12 თებერვლამდე პერიოდში.
5.დასახელებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახელებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტე (ებ)ის შერჩევა.
6.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირად

განისაზღვრონ: ა)დავით მულაძე (ტელ: 599 03 09 05; ელ.ფოსტა: davitmuladze@gamil.com) ბ) შალვა აბრამიშვილი (ტელ: 595 64 44 34; ელ.ფოსტა:

7.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

8.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს როინი დეკანოიძეს.

9.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10.ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: 23 (ოცდასამი) ფურცელად.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი